

**სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წესდების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“ №59/ნ ბრძანების, სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული გზამკვლევის საფუძველზე და შესაბამისად არეგულირებს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურებს.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

1. **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი** - იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების პროგრამები, პროფესიული გადამზადების პროგრამები და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები.
2. **პროფესიული მომზადების პროგრამა** - არის პროგრამა, რომელიც პირს აზრადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.
3. **პროფესიული გადამზადების პროგრამა** - არის პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შექმნა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.
4. **მსმენელი** - პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაზე.

**მუხლი 3. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების საფუძველები**

1. კოლეჯი პროგრამას შეიმუშავებს ელექტრონული სისტემის მეშვეობით და უფლებამოსილია პროგრამის შემუშავებისათვის გამოიყენოს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:
  - ა) ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
  - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი;
  - გ) მოდული/მოდულები;
  - დ) ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პროგრამის შინაარსის განსაზღვრისთვის აუცილებელ ინფორმაციას.

**მუხლი 4. პროგრამის შემუშავების პროცედურა**

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს (დასაქმებული, დამსაქმებელი, კოლეჯი, სახელმწიფო უწყება და სხვ).
2. პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობა დგინდება შესაბამისი კვლევის ან დამსაქმებლის მომართვიანობის საფუძველზე.
3. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავება ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ.
4. პროგრამა შესაძლოა შემუშავებულ იქნას პროფესიული განათლების მასწავლებლების, პარტნიორი ორგანიზაცი(ებ)ის წარმომადგენლების, მეწარმე სუბიექტის ან ნებისმიერი დაინტერესებული პირის ჩართულობითა და კოორდინირებით.
5. შემუშავებული პროგრამის შეფასება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ან შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ.
6. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამას, თუ ის არ არის შემუშავებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას, თან უნდა ახლდეს დასაბუთება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის საჭიროებისა და მიზანშეწონილობის შესახებ.
7. თუ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებამი ერთვება მეწარმე სუბიექტი ან სახელმწიფო ორგანო, დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამას თან უნდა ახლდეს ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანამშრომლობის ფორმატის, მათ შორის, რესურსების გამოყენების შესახებ.
8. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ან შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

**მუხლი 5. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების წესი**

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართის შესაბამისად.
2. დაწესებულება ვალდებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების პროცესში გაითვალისწინოს შესაბამისი მოდულზე დაშვების წინაპირობები.

**5<sup>1</sup>. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის შეფასების წესი**

1. წინამდებარე წესი უზრუნველყოფს ხელი შეუწყოს კოლეჯში პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების სრულყოფილ, ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას.
1. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია მსმენელთა, პროფესიული მომზადების/გადამზადების განმახორციელებელ პირთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.
2. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯი ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას: მსმენელთა კითხვარებს, პროფესიული მომზადების/გადამზადების განმახორციელებელ პირთა კითხვარებს, კურსდამთავრებულთა სტატისტიკას, დამსაქმებელთა კითხვარებს, ინტერვიუს შედეგებს, საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარებს.
3. შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
4. ხარისხის მართვის მენეჯერი აფასებს, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სასწავლო, ტექნიკური საშუალებებისა და დამხმარე თვალსაჩინოებების არსებობის საკითხს, რაც უნდა შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს/თემასტიკას.“.

**მუხლი 6. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილების შეტანა**

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილება ხორციელდება შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველზე.
2. საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან იმ კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, რომლის ფარგლებშიც მომზადებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, კოლეჯი ვალდებულია შესაბამისი პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელებს დაასრულებინოს სწავლა.
3. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი პროგრამაზე შემდეგი მიღების გამოცხადებამდე ვალდებულია, უზრუნველყოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა.
4. კოლეჯი უფლებამოსილია, მსმენელებს სწავლა დაასრულებინოს იმ პროგრამაზე, რომელზეც ისინი ჩარიცხნენ, ხოლო ახალი მსმენელები მიიღოს შეცვლილ პროგრამაზე.
5. პროგრამის განხორციელების დაკარგვის შემთხვევაში ჩარიცხულ მსმენელებს დაასრულებინოს სწავლება არსებული პროგრამით.
6. თუ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ერთვება ახალი მეწარმე სუბიექტი ან სახელმწიფო ორგანო, პროგრამაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება და ეცნობოს აღნიშნულის თაობაზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს.
7. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობით სახით.